



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ფ ა მ ტ ბ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„30“ 12 „ 2015 წელი

ეგზ N2

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *ელ 73/00*

2011, 2012 და 2013 საანგარიშო წლებისათვის

სარჩევი

1. შესაბამისობის აუდიტის მიზანი და მასშტაბი	3
2. შემოკლებები	5
3. კომპანიის საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა.....	5
4. საკუთარი კაპიტალის მართვა.....	5
5. ინვენტარიზაცია	8
6. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....	9
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9
8. დებიტორულ-კრედიტორული დავალიანება.....	10
9. შემოსავლები	12
10. სახელმწიფო შესყიდვები	13
11. შრომის ანაზღაურება, მივლინება და სხვა ხარჯები.....	16
12. საწვავის მოხმარება	18

1. შესაბამისობის აუდიტის მიზანი და მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ 2011, 2012 და 2013 წლების საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი..

შესაბამისობის აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ 2011, 2012 და 2013 წლების საქმიანობის შემდეგი ძირითადი სფეროები:

- კომპანიის შემოსავლები
- აქტივების მართვა
- საბიუჯეტო სახსრები
- ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოიტანოს დასკვნა კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობა რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან
- მარეგულირებელ ნორმებთან
- სახელშეკრულებო მოთხოვნებთან
- შიდა ორგანიზაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან

აუდიტის მიზანს წარმოადგენდა, კომპანიის საქმიანობის არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა, მათ შორის:

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულება;
- მთავრობის 2010 წლის 10 დეკემბრის №380 დადგენილება შპს „საგზაო ტექნიკის“ სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის შესახებ
- მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის №481 დადგენილება შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის შესახებ
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებით დამტკიცებული „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის“ შესახებ
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 29 ოქტომბრის N1-11732 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს კომპანიაში ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც გულისხმობს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ კომპანიის 2011, 2012 და 2013 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნის გამოსატანად

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულება და ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან. შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

2. შემოკლებები

აუდიტის ანგარიშში გამოყენებულია შემდეგი სახის შემოკლებები:

- კომპანია - შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“
- ინფრასტრუქტურის სამინისტრო - საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- ეკონომიკის სამინისტრო - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- გზების დეპარტამენტი - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
- ფასს-ები - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი

3. კომპანიის საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 16 მარტის ბრძანების¹ საფუძველზე. დაფუძნების მომენტისათვის საწარმოს დასახელება იყო შპს „საგზაო ტექნიკა“. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის #978 განკარგულების შესაბამისად კომპანიის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. 2012 წელს გამოცემული ბრძანების² საფუძველზე კომპანიის სახელი შეიცვალა და ის ოპერირებს როგორც შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი დაარსებისას განისაზღვრა 3,766,130 ლარით, ხოლო 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით ის 48,695,430 ლარს შეადგენდა.

2011 წლამდე კომპანიას შეერწყა შპს „მელიორატორი XXI“ და შპს „საავტომობილო გზების მექანიზაციის სამმართველო“, ხოლო 2013 წლის აგვისტოში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანების³ საფუძველზე კომპანიას ასევე შეერწყა შპს „ანაკლია დეველოპმენტი“.

კომპანიის ძირითადი მიზანია მოგების მიღება ნებისმიერი საქმიანობის გზით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, საზოგადოებისა და დამფუძნებლების ინტერესებს. მის ძირითად სამეწარმეო საქმიანობას წარმოადგენს:

- სხვადასხვა ტიპის სამშენებლო პროექტების განხორციელება, მათ შორის, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია, რეკონსტრუქცია და სხვა საგზაო-სამშენებლო სამუშაოების შესრულება;
- სამშენებლო და სარემონტო მასალების წარმოება, მათი იმპორტირება-ექსპორტირება და რეალიზაცია
- კომპანიის ბალანსზე რიცხული სპეც-ტექნიკის საჭიროებისამებრ გამოყენება და მისი დროებით სარგებლობაში გადაცემა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2011 წლის განმავლობაში კომპანიამ შრომითი ხელშეკრულება გაუფორმა დაახლოებით 1,600 თანამშრომელს, 2012-2013 წლებში კი თანამშრომელთა საშუალო რიცხოვნებამ 725 შეადგინა. კომპანიას მართავს დირექტორი. აღნიშნულ თანამდებობას 2011-2012 წლების განმავლობაში იკავებდა გიორგი როგავა, ხოლო 2013 წლიდან დღემდე კომპანიის წამომადგენელი იოსებ ოზაშვილია.

4. საკუთარი კაპიტალის მართვა

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის #978 განკარგულებისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ოქტომბრის #1367 განკარგულების საფუძველზე, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიენიჭა კომპანიის 100% წილის მართვის, კაპიტალში შენატანების განხორციელების, კაპიტალიდან ქონების ამოღების და ბალანსზე აყვანის უფლებამოსილება. აღნიშნული განკარგულებების სისრულეში მოყვანის მიზნით 2010 წლის 5 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება ეკონომიკის სამინისტროსა⁴ და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის კომპანიის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე. ხელშეკრულების მიხედვით წილის მმართველს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე არ აქვს უფლება:

¹ ბრძანება #1-1/220

² საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2012 წლის 16 მარტის #16/ო ბრძანება

³ 2013 წლის 26 აგვისტოს #1/1-734 ბრძანება

⁴ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე წარმოდგენილია როგორც მესაკუთრე

- მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიის ბალანსზე რიცხული ქონების განკარგვისა ან უფლებრივად დატვირთვის თაობაზე;
- მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიის რეორგანიზაციის თაობაზე;
- განიხილოს და დაამტკიცოს კომპანიის ანგარიშგების და წლიური ბიუჯეტის პროექტი.

გარდა ამისა, წილის მმართველი ვალდებულია კომპანიის კაპიტალში შენატანებისა და კაპიტალიდან ქონების ამოღების შესახებ აცნობოს ეკონომიკის სამინისტროს ოპერაციის განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 2011-2013 წლებში კომპანიის საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ:

	შერწყმა	ფულადი	არაფულადი	ფულადი და არაფულადი	სულ
ნაშთი 01/01/2011	-	-	-	6,707,703	6,707,703
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	4,500,000	6,008,261	-	10,508,261
საწესდებო კაპიტალის კლება	-	-	-	-	-
ნაშთი 31/12/2011	-	4,500,000	6,008,261	6,707,703	17,215,964
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	18,457,969	5,318,487	-	23,776,456
საწესდებო კაპიტალის კლება	-	-	-	-	-
ნაშთი 31/12/2012	-	22,957,969	11,326,748	6,707,703	40,992,420
საწესდებო კაპიტალის ზრდა	3,553,040	3,000,000	1,888,654	-	8,441,694
საწესდებო კაპიტალის კლება	-	(600,000)	(138,684)	-	(738,684)
ნაშთი 31/12/2013	3,553,040	25,357,969	13,076,718	6,707,703	48,695,430

წარმოდგენილი აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით კომპანიამ 2011 წელი დაასრულა 2,730,022 ლარის მოგებით, ხოლო 2012 და 2013 წლებში კომპანიის ზარალმა შესაბამისად 4,419,410 და 4,598,087 ლარი შეადგინა.

კაპიტალიდან ქონების ამოღება

2011 და 2012 წლების განმავლობაში კომპანიაში საწესდებო კაპიტალი არ შემცირებულა. 2013 წელს კი ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებების⁵ მიხედვით კომპანიის საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული იქნა შემდეგი აქტივები:

აქტივის დასახელება	შემენის ტიპი	ექსპლ. შესვლის თარიღი	ისტორიული ღირებულება	ნარჩები ღირებულება 31.12.2012	აუდიტორის შეფასების მიხედვით
4 ავტომობილი	კაპიტალში შეტანილი კომპანიის	2006	73,544	-	73,544
ტოიოტა "ჰაილენდერი"	სახსრებით შესყიდული	2012	72,957	65,140	65,140
			146,501	65,140	138,684

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, აღნიშნული ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებული ხარვეზები, რაც კომპანიის მიერ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგება-ზარალისა და კაპიტალის მოძრაობის უწყისის არასწორად წარდგენის მიზეზი გახდა, კერძოდ:

- ზემოთ ხსენებული ბრძანება ასევე ითვალისწინებდა კომპანიის ბალანსზე რიცხული ავტომობილის (ტოიოტა "ჰაილენდერი") საწესდებო კაპიტალში გადატანას, რომლის ღირებულებაც მოცემული თარიღისათვის, იგივე დამოუკიდებელი აუდიტორის შეფასებით შეადგენდა 65,140 ლარს. „მეწარმეთა

⁵ ინფრასტრუქტურის მინისტრის 24.04.2013 წლის N44/ო და 25.04.2013 წლის N45 /ო ბრძანებები

შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის⁶ მიხედვით, პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ავტომობილი 2012 წელს შეძენილი იყო კომპანიის საოპერაციო სახსრებით, ის არ წარმოადგენდა კომპანიის საწესდებო კაპიტალში ახალ/დამატებით ქონებრივ შენატანს. ყოველივე ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, კომპანიის კუთვნილი აქტივი ვერ იქნებოდა გადატანილი საწესდებო კაპიტალში. შედეგად, კომპანიის 100%-იანი წილის მმართველის, ინფრასტრუქტურის მინისტრის 2013 წლის 24 აპრილის N44/ო ბრძანება აღნიშნულ ნაწილში არ შეესაბამება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

ამასთან, 2013 წლის 25 აპრილს ინფრასტრუქტურის მინისტრმა გამოსცა ბრძანება⁷, რომლის თანახმადაც მოთხოვნილი იქნა ზემოთ ხსენებული ავტომობილის, ღირებულებით 65,140 ლარი, საწესდებო კაპიტალიდან ამოღება. ბუღალტრულ ჩანაწერებში ზემოთ ხსენებული ოპერაციების ასახვა მოხდა ბრძანების შეუსაბამოდ. აქტივის გასვლა აღიარდა ხარჯად, თუმცა, საწესდებო კაპიტალი არ გაზრდილა და შესაბამისად არ შემცირებულა.

კაპიტალის ფულადი სახსრებით შეესება

კომპანია კომერციული საქმიანობის გარდა, დაკავებულია ისეთი სახის სამშენებლო სამუშაოების შესრულებით, რომლებიც დაფინანსებულია კომპანიის კაპიტალში შეტანილი სახელმწიფო სახსრების მეშვეობით. კომპანიას ასევე ევალება მთავრობის განკარგულებებით განსაზღვრული სამუშაოების საკუთარი სახსრებით შესრულება, მათ შორის:

- საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N2600 განკარგულების საფუძველზე კომპანიის კაპიტალი გაიზარდა 800,000 ლარით. განკარგულების მიხედვით კომპანიას დაევალა ყვარლის მუნიციპალიტეტში, ილიას ტბასთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, ფაქტობრივმა შესრულებულმა სამუშაოებმა შეადგინა 818,015 ლარი. ასევე, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 19 ოქტომბრის N1898 განკარგულების საფუძველზე კომპანიას დამატებით დაევალა საკუთარი სახსრებით ქ. ყვარელში, ილიას გორაზე მდებარე იუსტიციის სასწავლო ცენტრთან მისასვლელი ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და ქ. ყვარელში, ილიას ტბის თავზე შესაბამისი წარწერის მოწყობა. აღნიშნულ სამუშაოებზე ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 737,094 ლარი. ყველა ზემოთ ხსენებული სამუშაოს ზედამხედველობა, ინსპექტირება და მიღება-ჩაბარება დაევალა ყვარლის მუნიციპალიტეტს. თუმცა, დასრულებული სამუშაოები ჩაბარებული არ არის.
- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის N499 განკარგულების საფუძველზე კომპანიის კაპიტალი გაიზარდა 10,490,000 ლარით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით. შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობა, ინსპექტირება და მიღება-ჩაბარება დაევალა ზუგდიდის მუნიციპალიტეტს. სამუშაოების საერთო ღირებულებამ შეადგინა 12,676,076 (დღგ-ს ჩათვლით) ლარი. აქედან 2,186,076 ლარის სამუშაოები კომპანიამ საქართველოს მთავრობის 19 ოქტომბრის N1898 განკარგულების საფუძველზე განხორციელა საკუთარი სახსრებით. სამუშაოების დასრულების შემდეგ ობიექტი არ არის ჩაბარებული.

ხელმძღვანელობა ვერ ასახელებს კონკრეტულ მიზეზებს თუ რატომ ვერ ხდება ზემოთ მოცემული სამუშაოების ჩაბარება, რომლებზეც განსაზღვრულია ზედამხედველობის, ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი მხარე. თუმცა კომპანიას არაერთგზის ქონდა ამის განხორციელების მცდელობა (შესაბამის მუნიციპალიტეტებთან წერილობითი კომუნიკაცია, ასევე პარტნიორ სამინისტროსთან თხოვნის წერილები). დასრულებული სამუშაოები კომპანიას ასახული აქვს ბალანსზე.

- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 ივნისის N1114 და 27 ივლისის N1453 განკარგულებების საფუძველზე კომპანიის კაპიტალი გაიზარდა 7,366,000 ლარით. აღნიშნული თანხა გამოყოფილი იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით. განკარგულებებში სამუშაოების მიმღები პირი არ იყო განსაზღვრული. შესრულებული სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 3,640,517 ლარი. აუდიტის პერიოდისათვის სამუშაოები ჩაბარებული არ არის. კომპანიის ხელმძღვანელობის განმარტებით, მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია თუ ვინ უნდა მოახდინოს ზემოთ აღნიშნულ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით მიღება-ჩაბარების გაფორმება, რადგან მთავრობის განკარგულებით არ იყო განსაზღვრული.

⁶ 9¹ მუხლი, პუნქტი 6, ქვეპუნქტი „ზ“

⁷ 2013 წლის 25 აპრილის N45/ო ბრძანება

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ ვერ დავრწმუნდით დასრულებული, მაგრამ ჩაუბარებელი სამუშაოების არსებობასა და სისრულეში, რომელთა ჯამური ნაშთი ბალანსში მოკლევადიანი აქტივების სახით არის წარმოდგენილი.

კომპანიის კაპიტალის შევსებასთან დაკავშირებით, წილის მმართველის მიერ მთავრობის განკარგულებების საფუძველზე გამოცემულ ბრძანებაში არ არის მითითებული კომპანიის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ვადების შესახებ. არ არის ასევე განსაზღვრული ჩაბარებული სამუშაოების შემდეგ კომპანიის საწესდებო კაპიტალის ფორმირებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი პროცედურები.

შპს „ანაკლია დეველოპმენტის“ შერწყმა

2013 წლის საწყისი პერიოდისათვის, შესრულებული სამუშაოების შედეგად, კომპანიის მიმართ შპს „ანაკლია დეველოპმენტის“ დავალიანება შეადგენდა 365,066 ლარს. დავალიანების გადაუხდელობის გამო კომპანიამ მიმართა შესაბამის ორგანოებს, რის შედეგადაც შპს ანაკლია დეველოპმენტს შესაბამისი პროცედურების შედეგად დაეკისრა გადასახდელი ვალდებულება 372,469 ლარის ოდენობით. იქიდან გამომდინარე, რომ შპს „ანაკლია დეველოპმენტი“ არ იყო გადახდისუნარიანი, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი და კომპანიის შერწყმის შესახებ.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 6 აგვისტოს # 1/1-734 ბრძანების საფუძველზე შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის დირექტორს სხვა მოთხოვნებთან ერთად დაევალა:

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის ერთიანი კაპიტალის ფორმირების მიზნით შესაბამისი აუდიტორული დასკვნის სააგენტოში წარმოდგენა, ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, რომლის განხორციელებაც კომპანიის მიერ მოხდა 23 დღის დაგვიანებით.
- ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაცია და ინფორმაციის სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში“ წარდგენა, ამ ბრძანების გამოცემიდან ორი კვირის ვადაში, აღნიშნულ შემთხვევაშიც კომპანიის მხრიდან მოხდა განსაზღვრული ვადების დარღვევა 11 დღით.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა შპს „ანაკლია დეველოპმენტის“ შერწყმას გამოცემულია 2014 წლის 21 იანვარს. თუმცა, შერწყმის ოპერაცია, კაპიტალის ზრდა, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 2013 წელს.

5. ინვენტარიზაცია

„საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების მოთხოვნების⁸ მიუხედავად, 2011, 2012 და 2013 წლებში კომპანიას არ ჩაუტარებია მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია.

2011 და 2013 წელს ასევე არ არის ჩატარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. ხოლო რაც შეეხება 2012 წელს კომპანიის დირექტორის 2012 წლის 3 დეკემბრის N261 და შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 30 ნოემბრის N26640 ბრძანებების საფუძველზე დაიწყო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის პროცესი, ხოლო ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის პროცესი დაიწყო კომპანიის დირექტორის 2012 წლის 7 დეკემბრის N262 და შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 7 დეკემბრის N27582 ბრძანებების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი შემოსავლების სამსახურმა დაასრულა 2013 წლის 15 აგვისტოს, ხოლო კომპანია არ დაეთანხმა შედეგებს და გაასაჩივრა. კომპანიის საჩივარზე შემოსავლების სამსახურის დასკვნა გაიცა 2014 წელს. სწორედ ამ მიზეზებით ხსნის კომპანიის ხელმძღვანელობა 2012 და 2013 წლებში ინვენტარიზაციის ჩატარებლობას.

⁸ მუხლი 13 და მუხლი 15

6. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

წინამდებარე ცხრილი ასახავს ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით წარმოდგენილ ინფორმაციას კომპანიის მიერ შესყიდული და ასევე მის კაპიტალში შეტანილი ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ნაშთებთან დაკავშირებით:

	2010	2011	2012	2013
ძირითადი საშუალებები	3,713,209	11,275,488	16,018,959	19,597,958
არამატერიალური აქტივები	390	80,855	92,229	80,674
	3,713,599	11,356,343	16,111,188	19,678,632

გარდა იმისა, რომ კომპანიას არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ინვენტარიზაცია, აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები:

- ინფრასტრუქტურის მინისტრის 2011 წლის 8 თებერვალის N11/ო ბრძანების საფუძველზე კომპანიის კაპიტალში შეტანილი იქნა ქ. თბილისში სარაჯიშვილის N116 და სარაჯიშვილის N102- ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთები ჯამში 15,547 მ² და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები - 1,286.7 მ². დამოუკიდებელი აუდიტორის შეფასების თანახმად ქონების ღირებულება შეადგენდა შესაბამისად 542,220 და 469,186 ლარს. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ შენობა-ნაგებობების შემთხვევაში, ბუღალტრულ ჩანაწერებსა და დამოუკიდებელი აუდიტორის შეფასებებში ასახული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული მაჩვენებლებისგან. კომპანიის შესაბამისი წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ხარვეზი ცნობილი იყო მათთვის. თუმცა, შეუსაბამობის აღმოფხვრა არ მომხდარა.
- კომპანიაში არ არსებობს პოლიტიკა აქტივების მოვლა-შენახვასა და აღრიცხვასთან დაკავშირებით. შედეგად, 2011, 2012 და 2013 წლების საანგარიშგებო პერიოდებში ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები არაერთგვაროვანი მიდგომების საფუძველზე იყო განსაზღვრული. ასევე, არაერთგვაროვანი მიდგომა გამოყენებული აქტივების კლასიფიცირებასთან მიმართებაშიც. მაგალითად, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითად საშუალებებად არის აღიარებული 215,976 ლარის ღირებულების ისეთი მატერიალური ფასეულობები, რომელთა მახასიათებლებიც არ შეესაბამება ფას-ებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს ძირითად საშუალებებად აღიარებასთან დაკავშირებით. ამასთან, გვხვდება შემთხვევები, როდესაც აქტივი აკმაყოფილებს ძირითად საშუალებად აღიარების კრიტერიუმს, მაგრამ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგი;
- კომპანია ასევე ვერ წარმოადგინა 2011 წელს 69,963 ლარის, 2012 წელს 69,603 ლარის და 2013 წელს 4,449 ლარის მარაგის შესყიდვის დოკუმენტაცია.

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

2011, 2012 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით, სასაქონლო-მატერიალური მარაგები შეადგენს შესაბამისად 1,969,588 ლარს, 13,099,091 და 14,351,785 ლარს. აღნიშნულ ნაშთები მოიცავს როგორც სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის შეძენილ მარაგებს, ასევე, - სამშენებლო მასალების წარმოებისთვის მოპოვებულ წიაღისეულს. მარაგების მართვასთან დაკავშირებით, აუდიტის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები ქვემოთ არის წარმოდგენილი.

მომველებული / არაბრუნვადი მარაგები

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახულია 380,093 ლარის ღირებულების ისეთი სახის მარაგები, რომლებიც შეძენილია ერთი ან მეტი საანგარიშგებო პერიოდის წინ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მარაგები შეძენილია როგორც კომპანიის სახსრებით, ასევე, წილის მმართველის მიერ კომპანიის კაპიტალის შევსების გზით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია აღნიშნული სახის მარაგები საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით:

	2010	2011	2012	2013
კაპიტალში შეტანილი	-	93,869	85,450	78,195
საკუთარი სახსრებით შესყიდული	69,163	228,194	393,884	301,898
	69,163	322,063	479,334	380,093

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანიას არ ჩაუტარებია მოცემულ საანგარიშგებო პერიოდებში მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია. გარდა ამისა, კომპანიას არ წარმოუდგენია ახსნა-განმარტება არაბრუნვადი მარაგების არსებობის მიზეზებთან დაკავშირებით. შედეგად, ჩატარებული აუდიტორული პროცედურებზე დაყრდნობით, ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი მტკიცებულება მარაგების სისრულესა და არსებობასთან დაკავშირებით. ასევე, ჩვენ ვერ დავრწმუნდით, თუ რამდენად გონივრულ მსჯელობას ქონდა კომპანიის მხრიდან ადგილი მსგავსი არაბრუნვადი მარაგების შესყიდვის დროულობასა და მიზნობრიობასთან დაკავშირებით.

ლიცენზიების ათვისება

კომპანია ფლობს ქვის სამტკრევ ქარხანას ქარელის რაონში, სადაც ხდება ქვიშა-ხრეშისა და სხვა ნედლეულის გადამამუშავება სამშენებლო მასალის წარმოების მიზნით. მოქმედი კანონმდებლობით⁹ ნედლეულის მოსაპოვებლად აუცილებელია ლიცენზია, ან უფლება ლიცენზიისაგან დროებით განთავისუფლების შესახებ.

2011 წელს ბუღალტრულ ჩანაწერებში ფიქსირდება მდინარე ჭოროხზე დაახლოებით 6,533 მ³ წიაღისეულის მოპოვება იმ პერიოდში, როდესაც კომპანიას არ გააჩნდა მოქმედი ლიცენზია, ან ლიცენზიისაგან განთავისუფლების უფლება. ამასთან დაკავშირებით აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი მტკიცებულება, რომ კომპანიის მხრიდან არ მომხდარა წიაღისეულის უფლების გარეშე მოპოვება.

8. დებიტორულ-კრედიტორული დავალიანება

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თარიღებისათვის ასახული ინფორმაციის მიხედვით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანება შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

	2010	2011	2012	2013
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,426,948	2,634,482	9,015,477	10,935,230
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(23,801)	(1,254,210)	(3,953,983)	(663,963)
მიღებული ავანსები	-	-	-	(20,150,607)
	1,403,147	1,380,272	5,061,494	(9,879,340)

როგორც 5.1 აბზაცშია განხილული, 2011, 2012 და 2013 წლებში კომპანიას არ ჩაუტარებია მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შესაძლებელია ითქვას, რომ აღნიშნული ფაქტი, მოთხოვნების ეფექტიანად მართვასთან დაკავშირებულ სხვა არასაკმარის ღონისძიებებთან ერთად, კომპანიის სასამართლო დავებისა და საექვო მოთხოვნების ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს, რაც კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მნიშვნელოვან ზრდას იწვევს. გარდა ამისა, წარმოებული სასამართლო დავების მიუხედავად, კომპანია საანგარიშგებო წლის ბოლოს არ განსაზღვრავს საექვო მოთხოვნების ანარიცხებს, როგორც ეს მოითხოვება ფასს-ების შესაბამისად.

წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილია, აუდიტის ჯგუფის მიერ შეფასებული საექვო მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი:

	2010	2011	2012	2013	სასამართლო გადაწყვეტილების თარიღი
შპს ნიუ ენერჯი	66,285	3,819	5,700,298	5,700,298	
სს საფარი	110,565	110,565	110,565	110,565	30/08/2010
შპს ზესტაფონის საგზაო სამმართველო	42,223	42,223	42,223	42,223	18/11/2009
შპს ევრო გრუპი	10,036	34,102	34,102	34,102	06/01/2011
შპს ტრანსმშენი	-	20,807	20,807	20,807	22/02/2013
შპს აზსაქმშენ ალიანსი	-	14,581	14,581	14,062	24/05/2013
სს გზისმშენებელი - 11	10,540	10,540	10,540	10,540	30/06/2010
შპს ინტეგრა	9,567	9,567	9,567	9,567	27/10/2010
შპს რენესანს კაპიტალი	4,700	4,700	4,700	4,700	20/12/2010
შპს ნალი და კომპანია	-	6,420	3,180	3,180	22/07/2013

⁹ საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, მუხლი 7, პუნქტი 1

	2010	2011	2012	2013	სასამართლო გადაწყვეტილების თარიღი
შპს ქართულ ფრანგული საგზაო სატრანსპორტო კომპანია	74,025	74,025	74,025	74,025	04/02/2010
შპს კაეს პრო	102,423	75,423	75,423	75,423	
შპს სამშენებლო კომპანია ავტობანი	-	4,600	4,600	4,600	
შპს ტრანსკავკასიის კრისტალ	-	4,345	4,345	4,345	
შპს ინერტი +	-	14,042	4,042	4,042	
	430,364	429,759	6,112,998	6,112,479	

ცხრილის მიხედვით ჩანს, რომ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საექვო მოთხოვნები მთლიანი მოთხოვნების დაახლოებით 56%-ს უტოლდება (მათ შორის შპს „ნიუ ენერჯის“ წილი შეადგენს დაახლოებით 52%-ს ხოლო სხვა დანარჩენი კომპანიების ჯამური წილი დაახლოებით 4%-ს), ხოლო იმ დებიტორთა ჯამური დავალიანების ნაშთი, რომელთა წინააღმდეგაც კომპანიას არ დაუწყია სასამართლო დავა 88,410 ლარს შეადგენს. შპს „ნიუ ენერჯის“ მიმართ არსებული დებიტორული დავალიანება, რომელიც 2012 და 2013 წლების ბოლოსთვის 5,700,298 ლარს შეადგენს, დეტალურად არის განხილული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ აბზაცში.

ამასთან, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული სასამართლო დავების წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ჯარიმების ანაზღაურების მოთხოვნები, რაც, თავის მხრივ, კომპანიის სხვადასხვა დეპარტამენტებს შორის ინფორმაციის გაცვლის დაბალ ხარისხზე მიუთითებს. 2011, 2012 და 2013 წლების ბოლოსთვის მსგავსმა მოთხოვნებმა შეადგინა:

წელი	სააპლიკაციო საფასური	იძულებით აღსრულების საფასური	ჯარიმა	სახელმწიფო ბაჟი	სულ
2009	-	852	-	1,241	2,093
2010	-	5,019	-	7,305	12,324
2013	600	9,417	45,314	-	55,331
სულ 2013 წლის ბოლოს	600	15,288	45,314	8,546	69,748

ზემოთ ხსენებული მოთხოვნების გარდა, 2011, 2012 და 2013 წლების ბოლოსთვის, კომპანიის ბალანსზე ასახულია 82,967 ლარის ღირებულების მოთხოვნა შპს „მელიორატორი XXI“-ის მიმართ და - სხვა მოთხოვნა 16,587 ლარის ოდენობით. აღნიშნული მოთხოვნები არამართებულად ზრდის მთლიან აქტივებს, რადგან მათი მიღების ალბათობა თითქმის ნულის ტოლია. მოთხოვნები წარმოადგენს წინა საანგარიშგებო პერიოდების სააღრიცხვო შეცდომებს, კერძოდ:

- 2006 წელს საწესდებო კაპიტალში შეტანილ შენობა-ნაგებობას კომპანიამ ჩაუტარა 16,587 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები. 2007 წელს 100%-იანი წილის მესაკუთრის გადაწყვეტილებით მოხდა აღნიშნული შენობის კაპიტალიდან ამოღება საწყისი ღირებულებით. სხვაობა კაპიტალური ხარჯით გაზრდილი შენობა-ნაგებობის ღირებულებასა და ამ შენობა-ნაგებობის საწყის ღირებულებას შორის კომპანიამ არამართებულად ასახა მოთხოვნებში;
- 2006 წელს მოხდა შპს „მელიორატორი XXI“-ის კომპანიასთან შერწყმა. შერწყმის პროცედურების გათვალისწინებით, დამოუკიდებელმა აუდიტორმა შეაფასა სალიკვიდაციოდ გამზადებული საწარმოს აქტივები და ვალდებულებები საკუთარ კაპიტალთან ერთად. თუმცა, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანია ვერ ჩაიბარებდა აუდიტორის დასკვნაში აღრიცხულ 47,351 ლარის ღირებულების აქტივებს მათი ფიზიკურად არარსებობის გამო. კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით 82,967 ლარი ასახულ იქნა მოთხოვნებში, რათა შესაძლებელი ყოფილიყო დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ თავდაპირველად განსაზღვრული საწესდებო კაპიტალის ზუსტად აღრიცხვა. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერი მტკიცებულებები შერწყმის ოპერაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა საკუთარი კაპიტალისა და მოთხოვნების ნაშთი. გარდა ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობას ასევე არ

წარმოუდგენია მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ გამოვლენილი დანაკლისების შემთხვევაში კომპანიამ იხელმძღვანელა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების¹⁰ შესაბამისად.

9. შემოსავლები

კომპანია ძირითად შემოსავალს იღებს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებით. გარდა ამისა, შემოსავლის გამომუშავება ხდება როგორც წარმოებული სამშენებლო მასალების რეალიზაციით, ასევე, კომპანიის ბალანსზე რიცხული სპეც-ტექნიკის გაქირავებით.

9.1. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება

კომპანიისთვის 2011, 2012 და 2013 წლებში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ძირითად დამკვეთს წამოადგენდა სახელმწიფო. კომპანია მონაწილეობას იღებდა ელექტრონულ ტენდერებში, ასევე, მასთან ხელშეკრულების გაფორმება ხდებოდა მთავრობის განკარგულების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. რამდენიმე შემთხვევაში მოხდა კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდა კონკრეტული სამუშაოების შესრულების მიზნით¹¹. კომპანიის მიერ შესრულებულ სამშენებლო სამუშაოებში ასევე მნიშვნელოვანი წილი უკავია კერძო დაკვეთებს. წლებისა და ხელშეკრულების სახეობების მიხედვით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე ცხრილში:

	2011	2012	2013
გამარტივებული შესყიდვა	15,172,630	12,490,861	25,083,063
ტენდერი	-	1,392,436	-
კერძო დაკვეთა	31,650,354	2,757,685	9,987,516
კაპიტალში ფულადი შენატანები	818,015	17,053,684	-
	47,640,999	33,694,666	35,070,579

ელექტრონული ტენდერი

კომპანიამ მხოლოდ ორჯერ გაიმარჯვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ 2012 წელს გამოცხადებულ ტენდერში.

მათ შორის ერთი წარმოადგენს ქ. ახალციხეში საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერს, ღირებულებით 1,144,900 ლარი. შემსყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა ყოფილიყო შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%-ზე მეტი. აღნიშნული მოთხოვნის მიუხედავად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულად იქნა შესრულებული ქვეკონტრაქტორების, შპს „მესხეთავტოგზისა“ და შპს „გზაჯვარედინის“ მიერ.

გამარტივებული შესყიდვა

2011-2013 წლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა 19 ხელშეკრულება. 2012 წლის 7 ივლისის N 1-1/1463 ბრძანების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. ამ პერიოდიდან მოყოლებული კომპანიას გამარტივებული შესყიდვით შესრულებული აქვს 9 სამუშაო. პირველ ეტაპზე ხელშეკრულების გაფორმების დროს ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრებოდა სამუშაოს საორიენტაციო ღირებულება, რომელიც იცვლებოდა ეტაპობრივად სამუშაოების მიმდინარეობის დროს. აღნიშნულის მიზეზი იყო ის ფაქტი, რის გამოც პროექტირება და სამუშაოები მიმდინარეობდა პარალელურ რეჟიმში. თავდაპირველად ხარჯთაღრიცხვების შედგენა ხდებოდა გამსხვილებული მეთოდით, ხოლო შემდეგ ეტაპზე ან სამუშაოების დასრულების შემდეგ ფაქტობრივი დანახარჯების დადასტურების მიზნით ხარჯთაღრიცხვების შედგენა ხდებოდა რესურსული მეთოდით. რესურსული მეთოდით შედგენილ ხარჯთაღრიცხვებს უტარდებოდათ ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ. უმეტეს შემთხვევაში გამსხვილებული მეთოდით შედგენილი

¹⁰ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების, მე-16 მუხლი

¹¹ იხილეთ აბზაცი - საკუთარი კაპიტალის მართვა

ხარჯთაღრიცხვა (ხელშეკრულების ღირებულება) ნაკლებია რესურსული მეთოდით შედგენილ ხარჯთაღრიცხვაზე (ფაქტობრივი დანახარჯები), თუმცა დამკვეთი ორგანიზაციის მიერ (საქართველოს საგზაო დეპარტამენტი) ანაზღაურება ხდებოდა გამსხვილებული მეთოდით შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით და არ იყო მხედველობაში მიღებული ექსპერტიზის დასკვნა. აქედან გამომდინარე რამდენიმე შემთხვევაში მოხდა ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე ნაკლების ანაზღაურება.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახული ის შემთხვევები, როდესაც მოხდა ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე ნაკლების ანაზღაურება:

პროექტი	ფაქტობრივი დანახარჯები	გადახდა	სხვაობა	გადახრა
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) ს/გზის გუდაური-კობის კმ96-კმ107 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	16,781,543	13,727,217	(3,054,326)	18%
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზის კმ88-კმ93 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	2,671,186	1,717,372	(953,814)	36%
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზის კმ94-ის კმ93+000-ის კმ93+559 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	1,175,392	888,095	(287,297)	24%
თბილისის შემოსასვლელი ს/გზის კმ22-კმ34.3 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება	11,354,836	9,073,336	(2,281,500)	20%
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) ს/გზის 137-138 კმ მონაკვეთის (ნეიტრალური ზონა) სარეაბილიტაციო სამუშაოები	1,539,970	1,251,596	(288,374)	19%
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზის 94-95 კმ სარეაბილიტაციო სამუშაოები	4,082,829	2,962,543	(1,120,286)	27%
ქ. წყალტუბოს სასმელი წყლის შიდა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები	6,215,766	6,111,590	(104,176)	2%
	43,821,522	35,731,749	(8,089,773)	18%

9.2. სხვა შემოსავლები

როგორც აღვნიშნეთ, კომპანიის სხვა შემოსავლები ძირითადად შედგება წარმოებული სამშენებლო მასალების რეალიზაციისა და კომპანიის ბალანსზე რიცხული სპეც-ტექნიკის გაქირავებისგან. აუდიტის შედეგად გამოვლინდა ხარვეზები სპეც-ტექნიკის გაქირავებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- რიგ შემთხვევებში არ მოიძებნება მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტები: 2011 წელს 6 შემთხვევა ჯამური თანხით 88,050 ლარი; 2012 წელს 10 შემთხვევა ჯამური თანხით 349,091 ლარი; 2013 წელს 1 შემთხვევა 5,032 ლარი.
- ფიქსირდება შემთხვევები ტექნიკით მომსახურებაზე ვადაგასული ხელშეკრულების საფუძველზე. 2011 წელს 5 შემთხვევა ჯამური თანხით 51,306 ლარი.
- 2011 წელს ფიქსირდება 2 შემთხვევა სადაც მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარებაში წერია ხელშეკრულებისგან განსხვავებული ტექნიკა.

10. სახელმწიფო შესყიდვები

კომპანია სამშენებლო სამუშაოების შესყიდვას ახორციელებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების მიხედვით, ხოლო საქონლისა და სხვა მომსახურების შესყიდვას - საქართველოს მთავრობის დადგენილებებით დამტკიცებული შესყიდვების სპეციალური წესის¹² შესაბამისად. კომპანიის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სპეციალური წესი უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების შესყიდვების პროცედურების მნიშვნელოვნად გამარტივებას.

¹² 2010 წლის 10 დეკემბერის №380 და 2012 წლის 28 დეკემბერის №481 დადგენილებები

10.1. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა

კომპანია სამშენებლო სამუშაოების შესყიდვებს ახორციელებს როგორც ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ასევე, - გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცემულია მთავრობის განკარგულება. 2011, 2012 და 2013 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით შესრულებული სამუშაოებისა და გადახდების მდგომარეობა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

	2011		2012		2013	
	შესრულება	გადახდა	შესრულება	გადახდა	შესრულება	გადახდა
ელექტრონული ტენდერი	2,300,763	2,300,763	2,820,588	2,758,616	-	-
გამ. ელექტრონული ტენდერი	266,509	259,409	-	-	-	-
გამარტივებული შესყიდვა	936,171	936,171	9,263,380	12,152,907	2,101,473	2,061,852
	3,503,443	3,496,343	12,083,967	14,911,523	2,101,473	2,061,852

მოცემული ცხრილის მიხედვით ჯამურად გადახდილი თანხა მნიშვნელოვნად აღემატება შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, რაც ძირითადად გამოწვეულია შპს „ნიუ-ენერჯისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით. ის შემთხვევები კი, როდესაც გადახდები შესრულებაზე ნაკლებია, გამოწვეულია სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხებით, რომელთა სრულყოფილად გადახდა ხდება სამუშაოების საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ. აუდიტის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები შპს „ნიუ-ენერჯისთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და სხვა შეუსაბამოებები განხილულია ქვემოთ.

შპს „ნიუ-ენერჯი“

მთავრობის განკარგულების¹³ შესაბამისად, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისათვის კომპანიას მიენიჭა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვების განხორციელების უფლება. განკარგულების მიხედვით, გასაფორმებელი ხელშეკრულების მიმართ არ უნდა გავრცელებულიყო კანონმდებლობით გათვალისწინებული ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდა წინასწარ გადასახდელ თანხასთან დაკავშირებული გარანტიისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გარანტიის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული სამუშაოების შესრულება კომპანიამ დაუკვეთა შპს „ნიუ-ენერჯის“. საწყისი სახელშეკრულებო პირობების მიუხედავად, 2012 წლის 24 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმებით, შემსრულებელზე გასაცემი საავანსო თანხა 20%-დან 32%-მდე გაიზარდა, შესაბამისად, შპს „ნიუ ენერჯიმ“ წინასწარი ანგარიშშორების შედეგად კომპანიისგან მიიღო 2,976,000 ლარი. 2012 წლის 24 დეკემბრს შპს „ნიუ ენერჯისთვის“ გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, კომპანიამ აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედება ცალმხრივად შეწყვიტა და შემსრულებელს ავანსად მიღებული თანხის უკან დაბრუნება მოსთხოვა. ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზად შეტყობინებაში მითითებული იქნა შპს „ნიუ ენერჯის“ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება.

გარდა ზემოთ ხსენებული ხელშეკრულებისა, მოცემულ მხარეებს აკავშირებდა 2012 წლის 28 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება ყვარელში ცენტრალური გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ. ამჯერად დამკვეთს შპს „ნიუ-ენერჯი“ წარმოადგენდა, რომელმაც კომპანიისათვის 9,987,517 ლარის ღირებულების შესრულებული სამუშაოებიდან, მხოლოდ 7,263,218 ლარის ანაზღაურება შეძლო.

2012 წლის 28 ნოემბერს მოცემულ მხარეებს შორის შედგენილი შედარების აქტით შპს „ნიუ ენერჯიმ“ აღიარა კომპანიის მიმართ არსებული დავალიანებები, რამაც ჯამში 5,700,298 ლარი შეადგენდა. 2012 წლის 26 დეკემბერს კომპანიამ განცხადებით მიმართა თბილისის სააღსრულებლო ბიუროს მისი შპს „ნიუ-ენერჯის“ კრედიტორთა სიაში ჩართვის შესახებ.

¹³ 2012 წლის 17 სექტემბრის #1755 განკარგულება

ელექტრონული ტენდერი

კომპანიის მიერ განხორციელებული ელექტრონული ტენდერების აუდიტის შედეგად გამოვლინდა მოქმედ კანონმდებლობასთან¹⁴ შეუსაბამოები ხელშეკრულების შესრულებისა და წინასწარ გადახდილი თანხის იდენტური ოდენობის გარანტიების წარდგენასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- შპს „წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის დარიალის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის ფონდთან" 2011 წლის 7 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების გარანტია არ არის წარმოდგენილი. ამასთან, ხელშეკრულებაში საერთოდ არ არის განსაზღვრული მისი წარმოდგენის ვალდებულება და მოქმედების ვადები. ამავე ხელშეკრულების ფარგლებში წინასწარ გადახდილ თანხაზე 327,200 ლარის ოდენობით არ არის წარმოდგენილი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია;
- 2011 წლის 18 მაისს შპს „ზიმოსთან" გაფორმებული ხელშეკრულების ვადა გახანგრძლივდა. კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა გახანგრძლივებულიყო შპს „ზიმოს" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გარანტია. თუმცა, კომპანიამ შემსრულებლისგან არ მოითხოვა გარანტიის ვადის გაგრძელება.

გვხვდება შემთხვევები, როდესაც კომპანიის ხელმძღვანელობამ ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები სახელშეკრულებო ვადების გახანგრძლივებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- 2012 წლის 11 ივლისს შპს „ერ-თი ჯისთან" გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესული ცვლილებებით შემცირდა შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა და სახელშეკრულებო თანხა. ამავე დროს, სამუშაოების შესრულების ვადა გაიზარდა 2012 წლის 30 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე. მიუხედავად ვადის გაზრდისა, შემსრულებელმა ვერ უზრუნველყო სამუშაოს დროულად დასრულება. აღსანიშნავია, რომ კომპანიამ არ გამოიყენა ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება 11,063 ლარის ოდენობის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ (შეუსრულებელი სამუშაოების 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე $316113.24 \cdot 0,5\% \cdot 7 = 11063$);
- აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება, თუ რის საფუძველზე მოხდა 2012 წელს „ტრანსმშენთან" გაფორმებული 188,888 ლარის ღირებულების ხელშეკრულების შესრულების ვადის გახანგრძლივება.

გამარტივებული შესყიდვა

ისევე როგორც ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, გამარტივებული შესყიდვების განხორციელებისას კომპანიის მიერ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები ხელშეკრულების შესრულებისა და წინასწარ გადახდილი თანხის იდენტური ოდენობის გარანტიების წარდგენასთან დაკავშირებით: კერძოდ:

- შპს „გზა-2008"-სთან 2012 წლის 8 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებაში შესული ცვლილებით მომწოდებელს გაეზარდა სამუშაოს შესრულების ვადა, თუმცა შესაბამისად არ მომხდარა ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ვადის გაზრდა, რომელიც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების ვადას. ამასთან სამუშაოს შესრულების ვადის გაზრდის მიზეზები და მისი დასაბუთება კომპანიამ ვერ წარმოადგინა. ასევე, კომპანიამ ვერ წარმოადგინა დასაბუთებები შპს „GEORGIAN ROAD COMPANY"-სთან და შპს „ზიმოსთან" 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გაზრდილ ვადებთან დაკავშირებით;
- შპს „წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის დარიალის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის ფონდთან" გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების გარანტია, შესაბამისად, გარანტია შემსრულებელს არ წარმოუდგენია. ასევე, არ არის წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორებით გადახდილი 416,000 ლარის იდენტური ოდენობის გარანტია;
- შპს „მესხეთავტოგზასთან" 2012 წლის 11 ივნისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესული ცვლილებით მომწოდებელს გაეზარდა სამუშაოს შესრულების ვადა. შეთანხმების მიხედვით მოთხოვნილი იყო ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მოქმედების ვადის შესაბამისი ცვლილება, რომელიც მომწოდებელს არ წარმოუდგენია;
- 2012 წლის 6 ივლისს კომპანიამ შპს "COMFORT GROUP"-თან გააფორმა 104,306 ლარის ღირებულების ხელშეკრულება, რომელიც მთავრობის განკარგულების საფუძველზე გათავისუფლებული იყო ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენისგან. ამავე წელს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა ისე, რომ გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები არც კი დაწყებულა. აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად კომპანიის ხელმძღვანელობამ ვერ დაასახელა აღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი. ამასთან, აუდიტის ჯგუფი ვერ დაარწმუნა,

¹⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილი ბრძანება №9; მუხლი 19 და 21

თუ რამდენად გონივრული იყო კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან შემსრულებლისთვის შესაბამისი სანქციების დაუკისრებლობა.

10.2. საქონლისა და მომსახურების შესყიდვა

2011, 2012 და 2013 წლებში კომპანია საქონლისა და მომსახურების შესყიდვას ახორციელებდა პირობათა გამოკითხვის ან ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. მოცემულ პერიოდში განხორციელებული ამ სახის შესყიდვები შესაძლებელია შემდეგნაირად იქნას წარმოდგენილი:

	2011	2012	2013
პირობათა გამოკითხვა	6,889,039	-	12,952,756
ერთ პირთან მოლაპარაკება	26,607,715	31,220,598	9,854,902
	33,496,754	31,220,598	22,807,658

უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წელს პირობათა გამოკითხვის საშუალების გამოყენებით გაფორმებულია 17 ხელშეკრულება, 2013 წელს - 6 ხელშეკრულება, ხოლო 2012 წელს არცერთი.

კანონმდებლობის მოთხოვნების¹⁵ მიუხედავად 2 შემთხვევაში 2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების გარანტია. ასევე, 2011 წელს გვხვდება შემთხვევები, როდესაც შესრულების გარანტია ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, თუმცა ისინი მომწოდებლის მიერ არ არის წარმოდგენილი. მათ შორის იგულისხმება შემდეგ მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები: შპს „ვესტ თრეველი“; შპს „ტელტომატი“; შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“.

11. შრომის ანაზღაურება, მივლინება და სხვა ხარჯები

შრომის ანაზღაურება

2011, 2012 და 2013 წლების განმავლობაში კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობისა და მათზე გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია წინამდებარე ცხრილებშია წარმოდგენილი:

2011 წელი	დასაქმებულთა რაოდენობა	პრემია	ხელფასი	პრემია / ხელფასი %
უმაღლესი ხელმძღვანელობა	3	111,070	101,520	109%
სამსახურის უფროსები	9	76,930	202,335	38%
ადმინისტრაცია	30	93,317	372,386	25%
სხვა დანარჩენი	1,558	75,652	6,089,145	1%
	1,600	356,969	6,765,386	

2012 წელი	დასაქმებულთა რაოდენობა	პრემია	ხელფასი	პრემია / ხელფასი %
უმაღლესი ხელმძღვანელობა	3	102,610	104,325	98%
სამსახურის უფროსები	11	115,715	285,790	40%
ადმინისტრაცია	43	119,873	673,541	18%
სხვა დანარჩენი	762	103,850	4,120,441	3%
	819	442,048	5,184,097	

2013 წელი	დასაქმებულთა რაოდენობა	პრემია	ხელფასი	პრემია / ხელფასი %
უმაღლესი ხელმძღვანელობა	3	101,717	101,520	100%
სამსახურის უფროსები	14	113,359	328,918	34%
ადმინისტრაცია	55	128,467	740,096	17%
სხვა დანარჩენი	562	122,005	3,674,520	3%
	634	465,548	4,845,054	

¹⁵ შპს „საგზაო ტექნიკის“ სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი, მუხლი 16

2011 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა კომპანიის შემოსავლები, რამაც გამოიწვია თანამშრომელთა რაოდენობის შემცირება. თუმცა, 2012 და 2013 წლებში მიღებული ზარალის მიუხედავად 2012 წელს უმაღლესი ხელმძღვანელობის, სამსახურის უფროსებისა და ადმინისტრაციის ჯამური პრემია გაიზარდა დაახლოებით 20%-ით. ასევე, 2013 წელს წინა წელთან შედარებით ადგილი ჰქონდა აღნიშნული მაჩვენებლის ზრდას.

აუდიტის შედეგად შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა შემდეგ ხარვეზებსა და შეუსაბამობებს:

- აუდიტის ჯგუფმა შეარჩია 2011 წელს დასაქმებული 139 თანამშრომელი, რომელთაგან კომპანიამ ვერ წარმოადგინა 39 პირის შრომითი ხელშეკრულება, 2012 წლის შემთხვევაში კი 98-დან ვერ იქნა წარმოდგენილი 30 შრომითი ხელშეკრულება. კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით¹⁶ შესაძლებელი იყო შრომითი ხელშეკრულების დადება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, შესაბამისად, ამ თანამშრომლებთან 2011 და 2012 წლებში მოხდა ზეპირსიტყვიერი შეთანხმება. გარდა ამისა, კომპანია არ ფლობს ინფორმაციას: რა ობიექტზე იყო დასაქმებული 2011 წელს 8 თანამშრომელი; რა თანამდებობა ეკავა და რა ობიექტზე იყო დასაქმებული 2 თანამშრომელი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, აუდიტის ჯგუფს არადამაჯერებლად მიაჩნია კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი განმარტება. მსგავსი ფაქტები მიუთითებს მოცემული პერიოდებისთვის შრომითი რესურსების არამიზნობრივად გამოყენების მაღალ რისკზე;

- აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2013 წელს კომპანიის თანამშრომლებისთვის თანამდებობრივი სარგოსა და პრემიის გარდა ჯამში ანაზღაურებული იქნა 49,329 ლარი. აღნიშნული თანხები გაიცემოდა თანამშრომელთა შვებულებებთან დაკავშირებით. ისინი შვებულების პერიოდში იღებდნენ როგორც შესაბამისი თვის თანამდებობრივ სარგოს, ასევე - შვებულების ანაზღაურებას. გარდა ამისა, თუ თანამშრომელი წლის განმავლობაში ვერ მოახერხებდა კუთვნილი შვებულების მთლიანად ან ნაწილობრივ ათვისებას, კომპანია ანაზღაურებდა დარჩენილ გამოუყენებელ დღეებს. კომპანიის ხელმძღვანელობის განმარტებით, შრომის კოდექსის 2013 წლის ცვლილების¹⁷ შემდეგ დადებული შრომითი ხელშეკრულებები უკვე აღარ ითვალისწინებდა მსგავს ანაზღაურებებს. უნდა აღინიშნოს, რომ შრომის კოდექსის უკვე ძალადაკარგული ვარიანტი კომპანიას იმ დროისათვის არ ავალდებულებდა მსგავსი სახის ხარჯის გაწევას.
- კომპანია ზოგიერთ დაქირავებულ მოსამსახურეს, რომელიც მიმაგრებული იყო პროექტზე, გარდა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული დღიური ანაზღაურებისა, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში უხდიდა დანამატს დღეში 18.75 ლარის ოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში 18.75 ლარის შესახებ ჩანაწერი არ არსებობს, მსგავს შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული დღიური ანაზღაურება კი 15 ლარს შეადგენს. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობდა ადმინისტრაციის სიტყვიერი გადაწყვეტილება. აუდიტის ჯგუფისთვის კომპანიას არ წარმოუდგენია სხვა სახის დასაბუთება ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის გონივრულობასთან დაკავშირებით;

მივლინებები

კომპანიის მიერ 2011, 2012 და 2013 წლებში გაწეულმა სამივლინებო ხარჯმა შეადგინა:

წელი	ქვეყნის შიგნით	ქვეყნის გარეთ	სულ
2011	178,030	4,906	182,936
2012	70,429	17,608	88,037
2013	24,712	-	24,712
	273,171	22,514	295,685

¹⁶ 2013 წლის 12 ივნისის განხორციელებულ ცვლილებებამდე, არსებული ჩანაწერის (მე-6 მუხლის 1 პუნქტის)

¹⁷ 2013 წლის 12 ივნისის ცვლილება. კომპანიის განმარტებით, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის ცვლილების გათვალისწინებით შიცვალა კომპანიის მიდგომა

აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, კომპანიამ ვერ წარმოადგინა 2011 და 2012 წლებში ქვეყნის გარეთ მივლინებული თანამშრომლების ოფიციალური მოწვევები, კორესპოდენცია, მივლინების ანგარიშები, ან სხვა სახის დოკუმენტი, რომელიც დაასაბუთებდა მივლინების მიზნობრიობას. მსგავსი მივლინებების ხარჯმა ჯამში 22,514 ლარი შეადგინა.

ასევე, კომპანიამ ვერ წარმოადგინა 2011 და 2012 წლების ქვეყნის შიდა მივლინებების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია, ჯამში 27,470 ლარი.

ავტომობილების მოვლა-შენახვის ხარჯი

ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით 2011 წელს 19 ერთეული მსუბუქი ავტომანქანების მოვლა-შენახვის ხარჯმა შეადგინა 66,382 ლარი, 2012 წელს 30 ერთეულზე - 80,141 ლარი, ხოლო 2013 წელს ასევე 30 ერთეულზე - 71,932 ლარი.

ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ბუღალტრულ ჩანაწერებში მსუბუქი ავტომობილების მოვლა-შენახვის ანგარიშებზე ხშირ შემთხვევაში გატარებულია როგორც სპეც-ტექნიკის სათადარიგო ნაწილების, ასევე თანამშრომელთა სამუშაო აღჭურვილობის თანხები.

სხვა ხარჯები

კომპანიამ ვერ წარმოადგინა შემდეგი სახის ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია:

- 2011, 2012 და 2013 წელს ფიზიკური პირებისაგან ნაქირავები სპეც-ტექნიკის იჯარის ხარჯები, რაც წლების მიხედვით შესაბამისად 76,441, 156,669 და 1,887 ლარს შეადგენს;
- 2012 წლის თებერვალში ი/მ ვლადიმერ მინდიაშვილისთვის გადახდილი თანხა 5,000 ლარის ოდენობით;
- 2013 წლის დეკემბერში ფიქსირდება არაგამოსაქვითი ხარჯი 5,000 ლარის ოდენობით. ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოდგენილია მხოლოდ საქართველოს მეგზვეთა საზოგადოების წერილი ფინანსური დახმარების თხოვნასთან დაკავშირებით;
- 2013 წლის იანვარში აღიარებული 7,766 ლარის, ხოლო დეკემბერში 9,037 ლარის ოდენობის ხარჯები. კომპანიის განმარტებით აღნიშნული თანხები არის გადახდილი საურავები;

12. საწვავის მოხმარება

საწვავის მოხმარების ლიმიტები

დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე კომპანიაში მოქმედებდა საწვავის ხარჯვის თვითური ლიმიტები კონკრეტული ავტომობილის მიხედვით. 2011, 2012 და 2013 წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან გადაცდომებს, რამაც შესაბამისად სულ 19,310 ლიტრი, 9,430 და 1,837 ლიტრი შეადგინა. მათ შორის აღსანიშნავია, ავტომობილი „კია სორენტო“, რომლითაც 2011 წელს 6,470 ლიტრი იქნა გადაჭარბებული. ამავე წელს, სხვა ორი ავტომობილით მოხმარებული საწვავი 5,860 და 1,220 ლიტრით აღემატება დაწესებულ ჯამურ ლიმიტს. მსგავსი მდგომარეობა შემდეგ საანგარიშგებო პერიოდებშიც, სადაც ისევ „კია სორენტოს“ შემთხვევაში ლიმიტზე გადაჭარბება 2012 წელს სულ შეადგენდა 3,950 ლიტრს, ხოლო 2013 წელს - 473 ლიტრს.

საწვავის გაცემისა და გახარჯვის მდგომარეობა

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად, აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა კომპანიის მიერ ხარჯად აღიარებული საწვავის მიზნობრიობაში. კომპანიაში არ არსებობს კონტროლის შესაფერისი მექანიზმების ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფდა საწვავის მოხმარებასა და ნაშთთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულად და ზუსტად ასახვას. კომპანია დგას საწვავის უკანონოდ მითვისების მაღალი რისკის წინაშე. აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენს ქვემოთ განხილული ხარვეზები და შეუსაბამობები.

საწვავის გაცემის ფურცლისა და ავტომანქანის საგზურის ფურცლის საშუალებით კომპანია ყოველთვიურად აღრიცხავს გაცემულ და გახარჯულ საწვავს. საწვავის ხარჯად აღიარება ხდება მისი გაცემის მომენტისთვის და არა ფაქტობრივი შედეგების მიხედვით. ავტომანქანის საგზურის ფურცელი კი საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს გასაცემი საწვავის რაოდენობა. ავტოტექნიკის საიდენტიფიკაციო მონაცემებთან ერთად ის მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ობიექტის დასახელება, საწვავის ნაშთი თვის დასაწყისში და ბოლოში, თვის განმავლობაში მოხმარებული საწვავი, ოდომეტრის, ან მუშა/საათის საწყისი და საბოლოო მონაცემები.

ხშირია შემთხვევა, როცა აღნიშნული დოკუმენტი არასრულყოფილადაა შევსებული ან საერთოდ არ მოიპოვება. მაგალითად გვხვდება შემთხვევები, როდესაც:

- არ არის მონაცემი საწვავის საწყის და საბოლოო ნაშთებთან დაკავშირებით;
- არ არის მონაცემები ავტოტექნიკის ოდომეტრის ან ნამუშევარი საათების საწყისი და საბოლოო მაჩვენებელი, შესაბამისად ვერ ხერხდება ავტომანქანის (ტექნიკის) მიერ თვის მანძილზე განვლილი მანძილის ან ნამუშევარი საათების დადგენა;
- არის მხოლოდ საწვავის გაცემის მონაცემები;
- გვხვდება ისეთი საბუთებიც სადაც არ არის საწვავის გამცემის, მიმღების ან პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა;
- გარბენის ან ნამუშევარი საათების მონაცემებში მითითებულია, რომ ოდომეტრის ან მუშა/საათების მაჩვენებელი არ მუშაობს. თუმცა, გვხვდება შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ავტოტექნიკასთან დაკავშირებით ერთ ობიექტზე გახარჯული საწვავის ფურცელში დაფიქსირებულია ოდომეტრის ჩვენება, ხოლო იმავე თვეში სხვა ობიექტზე მონაცემები არ არის წარმოდგენილი, ოდომეტრის გაუმართაობის მიზეზით.

კომპანიის ბალანსზე ირიცხება 2 ერთეული ბეტონის პომპა და 9 ერთეული ბეტონის მიქსერი. აღნიშნული ტიპის ტექნიკა მოიხმარს საწვავს დანიშნულებისამებრ გაჩერებულ მდგომარეობაშიც. თუმცა, დოკუმენტალურად აღირიცხება მხოლოდ გავლილი მანძილის შესაბამისად გახარჯული საწვავი. ასევე, კომპანია ფლობს 3 ერთეულ ორმოული შეკეთების ავტოტექნიკას, თითოეული აღჭურვილია 3 დიზელის ავზით. ერთის საშუალებით ხდება საწვავის მიწოდება ძირითად ძრავზე, მეორე - საწვავს აწვდის კომპრესორის ძრავს, ხოლო მესამე - ასფალტის ლუმელის ძრავს. შესაბამისად, სამივე საწვავის ავზში განცალკევებულად ისხმევა დიზელი. თუმცა, როგორც სხვა შემთხვევაში საწვავის ჩამოწერის აქტში მითითებულია მხოლოდ ძირითად ავზში ჩასხმული საწვავის რაოდენობა.

გარდა ამისა, კომპანიაში არ ხდება საწვავის ხარჯვის შესაბამისი ფორმულით კალკულაცია, რაც უზრუნველყოფდა დატვირთული და დაუტვირთავი, მისაბმელიანი, თუ მის გარეშე მომუშავე ტექნიკით გახარჯული საწვავის რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებული რაოდენობის კალკულაციას.

ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც იდენტური ტიპის, მოდელის და გამომშვების წლის მქონე ავტოტექნიკის მონაცემები, 100 კილომეტრზე საშუალო საწვავის ხარჯის შესახებ, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად ცხრილში მოცემულია 4 იდენტური სატვირთო ავტომანქანის (Ford Cargo-3535D) შესაბამისი მონაცემები თვეების მიხედვით:

	4	5	6	7	8	9	10	11
სახ. ნომერი	ლ/100კმ	ლ/100კმ	ლ/100კმ	ლ/100კმ	ლ/100კმ	ლ/100კმ	ლ/100კმ	ლ/100კმ
DPD 952	92	75	95	90	90	131	84	111
DPD 094	88	78	102	109	102	93	85	58
DPD 953	97	72	94	90	153	154	187	71
DPD 092	-	105	104	103	102	97	68	88

ცხრილში გამოყენებულია იმ პერიოდის მონაცემები, როდესაც ოთხივე ავტოტექნიკა მუშაობდა კომბი-გუდაურში, ერთსა და იმავე ობიექტზე. მიუხედავად ამისა, აგვისტოში ერთ-ერთი ავტოტექნიკის საშუალო წვა 100 კილომეტრზე 63 ლიტრით აღემატებოდა მისი იდენტური ტიპის მოდელის წვას. ასევე, არსებული მონაცემებით ჩანს, რომ ერთ-ერთი სატვირთო ავტომანქანა ოქტომბერში მოიხმარდა 1 კილომეტრზე 1.8 ლიტრ დიზელს, ხოლო მაისში - 0.7 ლიტრს. გარდა ამისა, რომ აღნიშნული მნიშვნელოვნად აღემატება მოდელის ტექნიკურ მახასიათებლებში მითითებულ მონაცემებს, არალოგიკურია თვეების მიხედვით არსებული განსხვავებები.

კომპანიამ 2013 წელს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან“ გააფორმა ხელშეკრულებები რიგ ავტომანქანებზე GPS მოწყობილობების მონტაჟზე და შემდეგ მათი კონტროლის და გადაადგილების მონიტორინგის მომსახურების მიწოდებაზე. ამავე წელს, ავტომანქანებზე დამონტაჟებულ იქნა საწვავის ავზის სენსორები. თუმცა, რამდენიმე თვეში შეწყვეტილი იქნა GPS მოწყობილობების მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება, რისი მიზეზიც კომპანიის განმარტებით სისტემის გაუმართაობას უკავშირდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიას უკავშირდება საწვავის უკანონო მითვისების შესახებ აღძრული სისხლის სამართლის დანაშაულის 2 საქმე, საიდანაც ერთ-ერთში ფიგურირებდა კომპანიის თანამშრომლები. 2013

წლის 13 აპრილს ორხევის ბაზაზე სამართალდამცავი პირების მიერ დაფიქსირდა კომპანიის თანამშრომლების მხრიდან 30 ლიტრი დიზელის და 18 ლიტრი ტრაქტორის ჰიდრავლიკის სისტემის გამონაცვალის ზეთის უკანონოდ მითვისების ფაქტი, რაზეც ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი სამგორის სამმართველოს მიერ დაწყებული იქნა გამოძიება. კომპანიის მიერ გამოძიებისთვის მიცემულ განმარტებაში, აღნიშნული ფაქტის შედეგად კომპანიას ზარალი არ მიუღია, რადგან ტრაქტორის ჰიდრავლიკის სისტემის გამონაცვალ ზეთს (18 ლიტრი) არანაირი რესურსი და ღირებულება არ გააჩნდა. რაც შეეხება 30 ლიტრ დიზელის საწვავს, ის გადმოღებული იქნა ერთ-ერთი ავტომანქანის საწვავის ავზიდან. თუმცა, კომპანიის განმარტებით სააღრიცხვო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, არ აღინიშნებოდა საწვავის დანაკლისი. ხსენებული 30 ლიტრი კი წარმოადგენდა მძღოლის მიერ არამართლზომიერი (მოძრაობისას ნეიტრალური სიჩქარის ხშირად გამოყენება) მოძრაობის შედეგად მიღებულ ეკონომიას.

აუდიტორთა ხელმოწერა:

გიორგი ბერუჩაშვილი

ირაკლი ვაშაყმაძე

თეონა ავალიანი

თენგიზ თევდორაძე

სოფიო კობახიძე

გიორგი ხითარიშვილი

გიორგი ჭანტურია